*დანართი*

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ[1]

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: ეკატერინე ბაკარაძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

**წევრები:**

გაგა გვენეტაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

თბილისი
2026

[1] **შენიშვნა:** მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობას რელევანტურ სტანდარტთან/სტანდარტებთან და/ან სტანდარტის კომპონენტთან/კომპონენტებთან

## ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

## ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| სახელწოდება | საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | ა(ა)იპ |
| სახე | უნივერსიტეტი |
| საიდენტიფიკაციო კოდი | 204577582 |
| ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა) | დ. უზნაძის ქ. #68, თბილისი 0102, საქართველო |
| ვებ-გვერდი | https://tamariuni.edu.ge/ |
| ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ | ავტორიზებული |
| გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი | 28/12/2021; MES 1 21 0001430348 |
| ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი | 14/12/2027 |

## რაოდენობრივი მაჩვენებლები

### პროგრამები[2]

| **უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა** | **9** |
|---|---|
| ბაკალავრიატი | 5 |
| მაგისტრატურა | 3 |
| ერთსაფეხურიანი | - |
| დოქტორანტურა | 1 |
| მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი) | - |
| ქართულ ენაში მომზადების | - |
| აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა | - |
| საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა | - |
| ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა[3] | - |
| გაცვლითი პროგრამების რაოდენობა | - |

### სტუდენტები

| სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა | | | |
|---|---|---|---|
| | აქტიური | შეჩერებული | პროგრამის დასრულების მაჩვენებელი |
| სულ სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა | 68 | 79 | 218 (96.5%) |
| ბაკალავრიატი | 54 | 56 | 200 (98%) |
| მაგისტრატურა | 10 | 6 | 18 (95%) |
| ერთსაფეხურიანი | - | - | - |
| დოქტორანტურა | 4 | 17 | 0 |
| მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი) | - | - | - |
| ქართულ ენაში მომზადების პროგრამა | - | - | - |
| უცხოელი სტუდენტების რაოდენობა | 0 | 0 | 0 |

[2] იხ. დანართი №1 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც ახორციელებს დაწესებულება

[3] იგულისხმება მხოლოდ ის ერთობლივი პროგრამები, რომელთა განსაზღვრება მოცემულია ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის ჰ[48] პუნქტში

| | | | |
|---|---|---|---|
| სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა | 0 | 0 | 0 |

## პერსონალი

| მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ | |
|---|---|
| უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი) | 122 |
| **სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა** | 33 |
| - პროფესორი | 13 |
| - ასოცირებული პროფესორი | 17 |
| - ასისტენტ პროფესორი | 2 |
| - ასისტენტი | 1 |
| **სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა** | - |
| - მეცნიერი | - |
| - პოსტდოქტორანტი | - |
| **სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა** | 30 |
| - აფილირებული პროფესორი | 12 |
| - აფილირებული ასოცირებული პროფესორი | 15 |
| - აფილირებული ასისტენტ პროფესორი | **2** |
| - აფილირებული ასისტენტი | 1 |
| სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა | - |
| კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა | - |
| სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი | 60 |
| ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი | 29 |

## შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

| | |
|---|---|
| დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში | 7847 |
| დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში | 2800 |
| დაწესებულების საერთო დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში | 5047 |

## მოკლედ აღწერეთ ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის ვიზიტი

<table>
<tr><td colspan="2">

**აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი:**

შეფასდა ავტორიზაციის მეორე სტანდარტის სამივე კომპონენტი (2.1, 2.2 და 2.3) და მეოთხე სტანდარტის 4.1 კომპონენტი. მონიტორინგი განხორციელდა ვიზიტის გარეშე, დაწესებულების მიერ 2026 წლის 16 იანვარს ცენტრში წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე.<br>დასკვნის პროექტი ცენტრის 2026 წლის 07 მაისის №MES 1 26 0000546409 წერილით გაეგზავნა დაწესებულებას არგუმენტირებული პოზიციის წარმოსადგენად. დაწესებულებამ 2026 წლის 14 მაისის №12/010 წერილით ცენტრში წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელშიც ასახულია მისი მოსაზრებები სტანდარტის 2.1, 2.2 და 4.1 კომპონენტებთან მიმართებით; დანართის სახით თან ერთვის რექტორის 2026 წლის 27 აპრილის №11/01 ბრძანება „უნივერსიტეტის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ".<br>ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და თანდართული მტკიცებულებები. წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაცია აისახა დასკვნის შესაბამისი კომპონენტების აღწერით ნაწილში, თუმცა არგუმენტირებულ პოზიციაში არ ყოფილა წარმოჩენილი ისეთი არსებითი გარემოება, რომელიც შეცვლიდა ექსპერტთა ჯგუფის თავდაპირველ შეფასებას. შესაბამისად, 2.1, 2.2, 2.3 და 4.1 კომპონენტებთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფის შეფასება უცვლელია, ხოლო გაცემული რეკომენდაციები ძალაში რჩება.

</td></tr>
<tr><td colspan="2">

**მონიშნეთ რას უკავშირდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინა შეფასება, რომლის ფარგლებშიც გაიცა რეკომენდაციები:**

☐ ავტორიზაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული შეფასება<br>შეფასების განხორციელების თარიღი: _

☐ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასება<br>შეფასების განხორციელების თარიღი: ____________________

☐ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განხორციელებული შეფასება<br>შეფასების განხორციელების თარიღი: ____________________

☒ შეფასება ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში<br>შეფასების განხორციელების თარიღი: 30 მარტი - 09 აპრილი

</td></tr>
<tr><td>უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები (მიუთითეთ სტანდარტი/სტანდარტის კომპონენტი და შესაბამისი რეკომენდაცია):</td><td>აღწერეთ რამდენად იქნა გათვალისწინებული უსდ-ს მიერ წინა შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და რჩება თუ არა გასაუმჯობესებელი მხარეები სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით:</td></tr>
<tr><td>2.1. რეკომენდირებულია, რომ უნივერსიტეტის რეორგანიზაცია დაიგეგმოს, განხორციელდეს და დასრულდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმით.</td><td>ნაწილობრივ შესრულებულია<br>უნივერსიტეტმა 2025 წლის 1 დეკემბრის №33/01 ბრძანებით მოაწესრიგა კომუნიკაციის სისტემა და კორპორატიული ელფოსტის საკითხი. თუმცა სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში 2022 წლის 5 მაისის შემდგომი ცვლილებების ამსახველი ამონაწერი ვერ იძებნება, ხოლო წესდებასა და დებულებას შორის სტრუქტურული წინააღმდეგობა - კერძოდ, ამ ორ დოკუმენტში განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულების შეუსაბამობა - კვლავ დაურეგულირებელია. არგუმენტირებულ</td></tr>
</table>

| | |
|---|---|
| | წერილში დაწესებულებას არ წარმოუდგენია 2022 წლის 5 მაისის შემდგომი ცვლილებების ამსახველი რეესტრის ამონაწერი, არც განახლებული წესდება, რის გამოც ამ უკანასკნელის განახლებული ვერსიის სამართლებრივი დადასტურება შეუძლებელია ექსპერტების მიერ არსებული დოკუმენტაციით. უნივერსიტეტის მიერ წერილში გაკეთებული მტკიცება ახალი სტრუქტურისა და წესდების შესაბამისობის შესახებ დოკუმენტურად ვერ მოწმდება წარმოდგენილი მტკიცებულებებით.<br>შესაბამისად, ძირითადი რეკომენდაცია ძალაში რჩება: უნივერსიტეტმა უნდა წარმოადგინოს 2022 წლის 5 მაისის შემდგომ განხორციელებული ნებისმიერი ნორმატიული თუ სტრუქტურული ცვლილების დამადასტურებელი რეესტრის ამონაწერი, ვინაიდან სადამფუძნებლო დოკუმენტებში შეტანილი ცვლილება სრულ სამართლებრივ ძალას მხოლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან იძენს. |
| 2.2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, წესდებით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში, განახორციელოს მხოლოდ მისი უფლებამოსილების არეალში შემავალი საქმიანობა, რათა არ ჰქონდეს კომპეტენციათა პრაქტიკულ გადაფარვას ადგილი. | **მეტწილად შესრულებულია**<br>2025 წლის 1 დეკემბრის №34/01 ბრძანებით დამტკიცდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ახალი დებულება, რომელშიც განსაზღვრულია სამსახურის ადგილი ორგანიზაციულ სტრუქტურაში, ანგარიშვალდებულების ვერტიკალი და ფუნქციების ჩამონათვალი. თუმცა გასაუმჯობესებელი მხარეები რჩება: სამსახურის ხელმძღვანელს ნიშნავს და ათავისუფლებს ერთპიროვნულად რექტორი, რაც ფუნქციური დამოუკიდებლობის პრობლემას ქმნის, ხოლო დებულება სამსახურის თანამშრომლების ინდივიდუალურ ფუნქციებს არ ადგენს. |
| 2.3. უნივერსიტეტმა გააძლიეროს ეთიკის კოდექსის პოპულარიზაცია სტუდენტებსა და პერსონალში, მათ შორის საინფორმაციო შეხვედრებისა და საგანმანათლებლო აქტივობების გზით. | **შესრულებულია**<br>ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები სტუდენტებთან, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან; შეხვედრების შემდეგ მონაწილეებს ელექტრონული ფოსტით გადაეგზავნათ შესაბამისი მასალები. |
| 4.1. უნივერსიტეტმა უზრუნველყოს საუნივერსიტეტო პროცესში მიღებული გადაწყვეტილებების თანამშრომლებთან დროული და სანდო კომუნიკაცია, მათ შორის წერილობითი შეტყობინებების გზით (პირადად ან იდენტიფიცირებული ელექტრონული ფოსტით), რათა თავიდან აიცილოს ინფორმაციის გავრცელებასთან და დასაქმებულთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული გაურკვევლობები. ასევე - უნივერსიტეტმა ამოქმედოს კორპორატიული მეილების სისტემა უფრო ეფექტური და სანდო კომუნიკაციისთვის. | **ნაწილობრივ შესრულებულია**<br>უნივერსიტეტმა დანერგა პერსონალური ელექტრონული ფოსტის სისტემა Gmail-ის ბაზაზე, რაც შუალედურ ეტაპად მიიჩნია. გასაუმჯობესებელი მხარე რჩება: Gmail-ის ბაზაზე შექმნილი მისამართები ვერ უზრუნველყოფს სრულფასოვანი კორპორატიული მართვისა და ინფორმაციული უსაფრთხოების სტანდარტებს, ამდენად საჭიროა სისტემის შემდგომი განვითარება და საკუთარ დომენურ სახელზე (@tamariuni.edu.ge) გადასვლა. |

## უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

### რეკომენდაციები

2.1.1. რეკომენდირებულია, რომ უნივერსიტეტის რეორგანიზაცია დაიგეგმოს, განხორციელდეს და დასრულდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმით;

2.2.1.რეკომენდებულია, რომ სამსახურის ხელმძღვანელის დანიშვნა და გათავისუფლება, ისევე როგორც დებულებაში ცვლილებების შეტანა, მოხდეს კოლეგიური მმართველობის ორგანოს თანხმობით, და არა ერთპიროვნული ადმინისტრაციული გადაწყვეტილებით, რათა სტრუქტურულ დონეზე გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის რისკი.

4.1.1. ინსტიტუციური ავტორიტეტის გაძლიერებისა და კომუნიკაციის მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფის მიზნით, სასურველია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს გადასვლა სრულფასოვან კორპორატიულ ფოსტაზე საკუთარი დომენური სახელით (მაგალითად: @tamariuni.edu.ge). ეს არა მხოლოდ გაზრდის კომუნიკაციის სანდოობასა და ლეგიტიმაციას მესამე პირებთან ურთიერთობისას, არამედ საშუალებას მისცემს ადმინისტრაციას, უფრო ეფექტურად მართოს შიდა ინფორმაციული ნაკადები და დაიცვას პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება

### რჩევები

2.2.1. სასურველია, რომ სამსახურის დებულებაში მკაფიოდ განისაზღვროს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უფლებამოსილია დამოუკიდებლად, ადმინისტრაციული ჩარევის გარეშე, განახორციელოს შიდა შეფასებები, მათ შორის ისეთი, რომლებიც ეხება ადმინისტრაციული მმართველობის ეფექტიანობას;

2.2.2. მიზანშეწონილია, რომ უნივერსიტეტმა უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის დებულებით განსაზღვრული ფუნქციების პრაქტიკაში სრულყოფილი განხორციელება და ამის დამადასტურებელი მტკიცებულებების - სხდომის ოქმების, პერიოდული ანგარიშების, განხორციელებული შეფასებების - სისტემატური დოკუმენტირება;

2.2.3. სასურველია, რომ უნივერსიტეტმა გადახედოს ყველა სხვა ადმინისტრაციული სამსახურის დებულებებს და უზრუნველყოს მათი ჰარმონიზაცია ხარისხის სამსახურის ახლად დამტკიცებულ დებულებასთან, რათა გამოირიცხოს ფუნქციების გადაფარვის სამართლებრივი საფუძველი ნებისმიერ სხვა სამსახურთან მიმართებითაც;

2.2.4. სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის დებულებაში ასევე განსაზღვრული იყოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლების ფუნქციები, კომპეტენციათა და უფლება-მოვალეობების გამიჯვნის მიზნით.

2.3.1 ეთიკური კულტურის გაძლიერებისა და ინსტიტუციური ნდობის ამაღლების მიზნით, მიზანშეწონილია, ეთიკის კოდექსის პოპულარიზაციისკენ მიმართულ აქტივობებს (საინფორმაციო შეხვედრები, სემინარები, ელექტრონული კომუნიკაცია) მიეცეს სისტემატური და პერიოდული ხასიათი. სასურველია, აღნიშნული პროცესი ინტეგრირებული იყოს ახალი პერსონალისა და სტუდენტების ორიენტაციის (Induction) პროგრამებში, რათა უზრუნველყოფილ იქნას ეთიკის ნორმების შესახებ ცნობადობის მაღალი დონე გრძელვადიან პერსპექტივაში.

### საუკეთესო პრაქტიკა

## დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

| | სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
|---|---|---|---|---|---|
| | 1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 1.1 | უსდ-ის მისია | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 1.2 | სტრატეგიული განვითარება | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| | 2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 2.1 | ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| 2.2 | ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| 2.3 | ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| | 3. საგანმანათლებლო პროგრამები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 3.1 | საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 3.2 | საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 3.3 | სწავლის შედეგების შეფასება | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| | 4. უსდ-ის პერსონალი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 4.1 | პერსონალის მართვა | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| 4.2 | აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| | 5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 5.1 | სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 5.2 | სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| | 6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 6.1 | კვლევითი საქმიანობა | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 6.2 | კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 6.3 | კვლევითი საქმიანობის შეფასება | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| | 7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 7.1 | მატერიალური რესურსები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 7.2 | საბიბლიოთეკო რესურსები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 7.3 | საინფორმაციო რესურსები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 7.4 | ფინანსური რესურსები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

### ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. ეკატერინე ბაკარაძე (თავმჯდომარე)



2. გაგა გვენეტაძე, (წევრი)



3. სახელი, გვარი (წევრი)
4. სახელი, გვარი (წევრი)

## უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

### 1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

**უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.**

### 1.1 უსდ-ის მისია

უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს როგორ იქნა გათვალისწინებული უნივერსიტეტის მიერ ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები[4]; ანალიზში ასევე უნდა აისახოს რჩება თუ არა პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობისას).

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).

**რეკომენდაციები:**

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

**რჩევები:**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

**შეფასება:**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 1.2 სტრატეგიული განვითარება

- უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი).
- უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას.
- უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს როგორ იქნა გათვალისწინებული უნივერსიტეტის მიერ ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული

[4] ეს რეკომენდაციები შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ავტორიზაციის, სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდის, საგანმანათლებლო პროგრამის დამატების და/ან ავტორიზაციის პირობების შემოწმების მიზნით განხორციელებულ ბოლო შეფასებასთან.

| |
|---|
| რეკომენდაციები; ანალიზში ასევე უნდა აისახოს რჩება თუ არა პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**<br>მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები,ინტერვიუს შედეგები და სხვა). |
| **რეკომენდაციები:**<br>რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| **რჩევები:**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| **შეფასება:**<br>მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

**უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.**

| 2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა |
|---|
| ○ უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას.<br>○ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი.<br>○ უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას.<br>○ უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს. |
| **სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**<br>რეკომენდირებულია, რომ უნივერსიტეტის რეორგანიზაცია დაიგეგმოს, განხორციელდეს და დასრულდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმით<br>**რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია**<br>გაცემული რეკომენდაცია ეფუძნებოდა იმ გარემოებას, რომ უნივერსიტეტში 2024 წელს განხორციელებული სტრუქტურული რეორგანიზაცია წარიმართა საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის გარეშე. კერძოდ, უნივერსიტეტის წესდების მე-32 და მე-33 მუხლების თანახმად, რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ექსკლუზიურად დამფუძნებლის პრეროგატივა იყო. წესდების მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის ვ) ქვეპუნქტით განსაზღვრული რექტორის კომპეტენცია კი მხოლოდ წესდებით დადგენილ სტრუქტურაზე დამატებითი ერთეულების შექმნით შემოიფარგლება და მას არ ანიჭებს უფლებამოსილებას, გააუქმოს ან შეცვალოს წესდებით განსაზღვრული სტრუქტურა. აღნიშნულის შედეგად, წესდებით |

განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები და რექტორის დებულებით დადგენილი ერთეულები ერთმანეთს არ შეესაბამებოდა, ხოლო თავად რეორგანიზაციის პროცესში დაცული არ ყოფილა საქართველოს სამოქალაქო კოდექსითა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის №797 ბრძანებით დამტკიცებული „მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეგისტრაციის შესახებ" ინსტრუქციით გათვალისწინებული სავალდებულო პროცედურები. ამ გარემოებათა ერთობლიობამ განაპირობა რეკომენდაცია, რომ მომავალში რეორგანიზაცია სრულად მოექცეს კანონმდებლობით დადგენილ ჩარჩოს ფარგლებში, ხოლო ყოველი ცვლილება დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრში კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაბამისი ცვლილების რეგისტრაციით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ უნივერსიტეტმა საანგარიშო პერიოდში რამდენიმე კონკრეტული სამართლებრივი ნაბიჯი გადადგა. 2025 წლის 1 დეკემბერს, ქ. თბილისში, გამოიცა რექტორის ბრძანება №33/01, რომელიც ეხება „პერსონალისათვის სამართლებრივი აქტების გაცნობის" წესს. ბრძანება მიღებულია კანონმდებლობით დადგენილი ფორმით - დაწესებულების რექტორის სახელით - და ითვალისწინებს შინაგანაწესის 25-ე მუხლში კონკრეტული ჩანაწერების შეტანას. კერძოდ, ცვლილება ეხება ოფიციალური კომუნიკაციის სისტემის მოწესრიგებას: კორპორატიული ელექტრონული ფოსტის სისტემა განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალება ინსტიტუციური ინფორმაციის გავრცელებისათვის; საჯარო ხასიათის აქტები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასათვის უნივერსიტეტის ოფიციალური ვებგვერდზე www.tamariuni.eduge, ან/და თვალსაჩინო ადგილას განთავსების ან/და უნივერსიტეტის კორპორატიულ ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნის ან/და სხვა გზით. ასევე - ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების კონკრეტული პირებისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული მეთოდებით ჩაბარების პრინციპი.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსებული შინაგანაწესი არ არის წარმოდგენილი განახლებული სახით (კერძოდ, არ არის ასახული ჩანაწერი: უფრო ეფექტური და სანდო კომუნიკაციისთვის უნივერსიტეტი აამოქმედებს კორპორატიული ელექტრონული ფოსტის (მეილების) სისტემას) და სასურველია დოკუმენტის ახალი ვერსიის განთავსება. ამასთანავე, წარმოდგენილი ბრძანება ფარავს მხოლოდ ერთ კომპონენტს - კომუნიკაციისა და პერსონალის ინფორმირების მექანიზმს - და ექსპერტთა შეფასებით, ვერ მოიაზრება მთლიანი ინსტიტუციური რეორგანიზაციის დამადასტურებელ სრულ მტკიცებულებად.

დაწესებუბლების წესდებით განსაზღვრულია უნივერსიტეტის სტატუსი, მისია და მიზნები; ორგანიზაციული სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები (მათ შორის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის); მმართველობის ორგანოების; პერსონალის საკითხები; სტუდენტთა უფლება-მოვალეობები; ქონება და დაფინანსება; და რეორგანიზაცია-ლიკვიდაციის წესი. სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში ცვლილებების ასახვის დამადასტურებელი ამონაწერი 2022 წლის 5 მაისის შემდგომ არ იძებნება, მიუხედავად იმისა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებაში შევიდა ცვლილებები. სრული შეფასებისათვის საჭიროა, რომ უნივერსიტეტმა წარმოადგინოს მმართველობის სტრუქტურის, ნორმატიული ბაზისა და საჯარო რეესტრის ცვლილებათა ამსახველი სრული დოკუმენტაცია, მათ შორის 2022 წლის 5 მაისის შემდგომ განხორციელებული ნებისმიერი ცვლილების დამადასტურებელი რეესტრის ამონაწერი.

წესდების მე-33 მუხლის მე-2 პუნქტი კვლავ ადგენს, რომ რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილება ერთპიროვნულად გამოსცემს დამფუძნებელი. ამის მიუხედავად, წესდებასა და დებულებას შორის არსებული სტრუქტურული წინააღმდეგობა დაურეგულირებელი რჩება, რაც ნიშნავს, რომ ძირითადი რეკომენდაცია - განხორციელდეს კანონმდებლობის სრული დაცვით - პრაქტიკულად ჯერ არ განხორციელებულა.

დამატებით, 2026 წლის 14 მაისის №12/010 არგუმენტირებული პოზიციით უნივერსიტეტმა წარმოადგინა 2026 წლის 27 აპრილის №11/01 რექტორის ბრძანება „უნივერსიტეტის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ", რომლითაც დამტკიცდა უნივერსიტეტის ახალი სტრუქტურა (მმართველი ორგანოები, 2 ფაკულტეტი და 12 სტრუქტურული ერთეული). ბრძანების მე-3 პუნქტი სამართლებრივი უზრუნველყოფისა და პერსონალის მართვის სამსახურს ერთი თვის ვადაში ავალდებულებს ახალ სტრუქტურასთან შესაბამისობაში მოაქციოს უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტები (დებულებები და სხვა) და ამ აქტების პროექტები წარუდგინოს რექტორს. ბრძანების პუნქტი 1 და 2 ამოქმედდება 2026 წლის 01 ივნისიდან.

უნივერსიტეტი არგუმენტირებულ წერილში მიუთითებს, რომ ახალი სტრუქტურა „უნივერსიტეტის წესდებასთან შესაბამისობაშია", თუმცა წერილს არ ერთვის წესდების მოქმედი (განახლებული) რედაქცია, რომელიც ამ მტკიცებას დაადასტურებდა. გარდა ამისა, 2022 წლის 5 მაისის შემდგომი ცვლილებების ამსახველი რეესტრის ამონაწერი ვერ იძებნება და წესდების მოქმედი ვერსიის სამართლებრივი დადასტურება შეუძლებელია. უნივერსიტეტის მიერ წერილში გაკეთებული მტკიცება ახალი სტრუქტურისა და წესდების შესაბამისობის შესახებ დოკუმენტურად ვერ მოწმდება წარმოდგენილი მტკიცებულებებით.

ექსპერტთა აზრით, რეკომენდაცია ძალაში რჩება: რეკომენდირებულია, რომ უნივერსიტეტის რეორგანიზაცია დაიგეგმოს, განხორციელდეს და დასრულდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმით. უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს №11/01 ბრძანების სრულფასოვანი ამოქმედება, ახალი სტრუქტურის შესაბამისი დებულებების მიღება და წარმოადგინოს 2022 წლის 5 მაისის შემდგომ განხორციელებული ნებისმიერი ნორმატიული თუ სტრუქტურული ცვლილების დამადასტურებელი რეესტრის ამონაწერი, ვინაიდან სადამფუძნებლო დოკუმენტებში შეტანილი ცვლილება სრულ სამართლებრივ ძალას მხოლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან იძენს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- უნივერსიტეტის წესდება
- უნივერსიტეტის დებულება
- უნივერსიტეტის შინაგანაწესი https://www.tamariuni.edu.ge/images/pdf/kanonebi/shinaganawesi.pdf
- ამონაწერი სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან (05 მაისი 2022)
- უნივერსიტეტის თვითშეფასება და დანართები
- უნივერსიტეტის ვებგვერდი https://tamariuni.edu.ge/ka/

**რეკომენდაციები:**

რეკომენდირებულია, რომ უნივერსიტეტის რეორგანიზაცია დაიგეგმოს, განხორციელდეს და დასრულდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმით

**რჩევები:**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

**შეფასება:**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები**

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

ინტერვიუს დროს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის განცხადებით ხარისხის უზრუნველყოფის საკითხების მიღმა, ის ყველაფერ სხვა საქმესაც უპრობლემოდ ასრულებს. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ეფექტიანად მართვის მიზნებისთვის, სასურველია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, წესდებით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში განახორციელოს მხოლოდ

| |
|---|
| მისი უფლებამოსილების არეალში შემავალი საქმიანობა, რათა არ ჰქონდეს კომპეტენციათა პრაქტიკულ გადაფარვას ადგილი.<br><br>**რეკომენდაცია მეტწილად შესრულებულია**<br><br>რეკომენდაციის შესრულების მიზნით, 2025 წლის 1 დეკემბერს გამოიცა რექტორის ბრძანება №34/01, რომლის ფარგლებში დამტკიცდა „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სამსახურის დებულება" (დანართი №2).<br><br>დებულების მიხედვით (მუხლი 1) ინსტიტუციის ორგანიზაციულ სტრუქტურაში განსაზღვრულია სამსახურის ადგილი, ანგარიშვალდებულებისა და ხელმძღვანელობის ვერტიკალი. ხელმძღვანელი პირდაპირ ანგარიშვალდებულია რექტორის წინაშე. (მუხლი 2): დებულებაში ჩამოთვლილია სამსახურის ვალდებულებები, რაც მოიცავს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო შიდა მექანიზმების კომპეტენტობის ფორმირებასა და სრულყოფას; სწავლისა და შეფასების სისტემის შემუშავება-მონიტორინგს; შიდა ხარისხის მექანიზმების ეფექტურობის შეფასებასა და შედეგების გამოყენებას; სტუდენტთა კონტინგენტის მექანიზმის შემუშავებას; სასწავლო პროცესთან, სამეცნიერო კვლევებთან, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციასთან დაკავშირებულ ინსტრუქციებსა და წესების შემუშავება-კოორდინაციას; საგანმანათლებლო პროგრამების ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შემუშავებას; სტუდენტების კრედიტების სწორ მართვასა და ECTS კრედიტების ინსტიტუციურ კოორდინაციას; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაბამისობის სტანდარტებთან შეფასებას; სამსახურის ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფის სასწავლო გეზის ოპტიმიზაციასა და სტანდარტებთან შესაბამისობის კონტროლს. მუხლი 3 ადგენს, რომ ხელმძღვანელს ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი; ხოლო მუხლი 4 განსაზღვრავს, რომ დებულებაში ცვლილებები შეიძლება შევიდეს მხოლოდ რექტორის ბრძანებით.<br><br>2026 წლის 14 მაისის №12/010 არგუმენტირებული პოზიციით უნივერსიტეტი მიუთითებს, რომ წესდების მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის თანახმად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის დანიშვნა და გათავისუფლება უნივერსიტეტის რექტორის კომპეტენციას წარმოადგენს და, შესაბამისად, განპირობებულია წესდებითა და კანონმდებლობით; ასევე აღნიშნავს, რომ სამსახურის თანამშრომელთა ინდივიდუალური ფუნქციები ასახულია სამუშაო აღწერილობებში.<br><br>ამ ნაწილში კვლავაც იკვეთება ხარისხის სამსახურის, როგორც უნივერსიტეტის ერთ-ერთი ორგანოს ფუნქციური დამოუკიდებლობის პრობლემა. ის ფაქტი, რომ სამსახურის ხელმძღვანელის დანიშვნა და გათავისუფლება წესდებით განპირობებულია, არ ცვლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციური დამოუკიდებლობის გასაძლიერებლად კოლეგიური მმართველობის ორგანოს ჩართულობის საჭიროებას, რათა სტრუქტურულ დონეზე გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის რისკი.<br><br>შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა გადახედოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციური დამოუკიდებლობის საკითხს და შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები სამსახურის მარეგულირებელ დოკუმენტში. კერძოდ, რეკომენდებულია, რომ სამსახურის ხელმძღვანელის დანიშვნა და გათავისუფლება, ისევე როგორც დებულებაში ცვლილებების შეტანა, მოხდეს კოლეგიური მმართველობის ორგანოს თანხმობით, და არა ერთპიროვნული ადმინისტრაციული გადაწყვეტილებით, რათა სტრუქტურულ დონეზე გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის რისკი. ასევე ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ დებულება ადგენს სამსახურის ფუნქციებს, თუმცა სამსახურის სრული სტრუქტურა - თანამშრომლების ფუნქციები, სამსახურის შიდა ორგანიზება, ამ დოკუმენტიდან არ ჩანს. სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის დებულებაში ასევე განსაზღვრული იყოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლების ფუნქციები, კომპეტენციათა და უფლება-მოვალეობების გამიჯვნის მიზნით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**<br><br>• უნივერსიტეტის თვითშეფასება და დანართები<br>• უნივერსიტეტის ვებგვერდი https://tamariuni.edu.ge/ka/ |
| **რეკომენდაციები:**<br><br>• რეკომენდებულია, რომ სამსახურის ხელმძღვანელის დანიშვნა და გათავისუფლება, ისევე როგორც დებულებაში ცვლილებების შეტანა, მოხდეს კოლეგიური მმართველობის ორგანოს თანხმობით, და არა |

ერთპიროვნული ადმინისტრაციული გადაწყვეტილებით, რათა სტრუქტურულ დონეზე გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის რისკი.

**რჩევები:**

- სასურველია, რომ სამსახურის დებულებაში მკაფიოდ განისაზღვროს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უფლებამოსილია დამოუკიდებლად, ადმინისტრაციული ჩარევის გარეშე, განახორციელოს შიდა შეფასებები, მათ შორის ისეთი, რომლებიც ეხება ადმინისტრაციული მმართველობის ეფექტიანობას;
- სასურველია, რომ უნივერსიტეტმა უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის დებულებით განსაზღვრული ფუნქციების პრაქტიკაში სრულყოფილი განხორციელება და ამის დამადასტურებელი მტკიცებულებების - სხდომის ოქმების, პერიოდული ანგარიშების, განხორციელებული შეფასებების - სისტემატური დოკუმენტირება;
- სასურველია, რომ უნივერსიტეტმა გადახედოს ყველა სხვა ადმინისტრაციული სამსახურის დებულებებს და უზრუნველყოს მათი ჰარმონიზაცია ხარისხის სამსახურის ახლად დამტკიცებულ დებულებასთან, რათა გამოირიცხოს ფუნქციების გადაფარვის სამართლებრივი საფუძველი ნებისმიერ სხვა სამსახურთან მიმართებითაც;
- სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის დებულებაში ასევე განსაზღვრული იყოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლების ფუნქციები, კომპეტენციათა და უფლება-მოვალეობების გამიჯვნის მიზნით.

**შეფასება:**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა**

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.
- უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

- რეკომენდებულია უნივერსიტეტმა გააძლიეროს ეთიკის კოდექსის პოპულარიზაცია სტუდენტებსა და პერსონალში, მათ შორის საინფორმაციო შეხვედრებისა და საგანმანათლებლო აქტივობების გზით. - **შესრულებულია**

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ეთიკის კოდექსი, რომელიც ვრცელდება სტუდენტებზე, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალზე. დოკუმენტი საჯაროა და განსაზღვრავს ინსტიტუციის ძირითად ღირებულებებს, ეთიკის პრინციპებსა და დარღვევებზე რეაგირების მექანიზმებს.

